ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

 გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 24 14 12/11/2019

სოფ. გოგაშენის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და 141-ე მუხლის მე-11 ნაწილის, საფუძველზე, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 , „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილებებისა და საქართველოს ზოგადი ადმნნისტრაციული კოდექსის $60^{1}$ მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სოფ. გოგაშენის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა, დანართის შესაბამისად;

2. ამ განკარგულების გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ახალქალაქის მუნიციპალატეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №20 14 განკარგულება „ სოფ. გოგაშენის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის დამტკიცების შესახებ“

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალქალაქი, მ.მაშტოცის ქ. №110).

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე